



ԾԻՄԱՆՈՒԹՅԱՆ

ազնայանի սուրբապետի և թագաւորի լիազօրութեան
հովանաւորութեամբ

№4 (58) մասն-թիւ 2012 Վարդ



ԹՎ. ՆՏՈՂՈՒԹՅԱՆ

„სახეების წმინტის მოხდენა ტელევიზიის“



„მადლი საქმიანი“ და „საქმე მადლიანი“



აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის მიმართვა

აფხაზეთში, გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნში მდებარე ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარი X-XI საუკუნეების ქართული ისტორიული ძეგლია. ამჟამად აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლება ტაძრის რესტავრაციას გეგმავს, რაც არ არის შეთანხმებული საქართველოს შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებთან, საქართველოს საპატრიარქოსთან და არც კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობის დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

ყოველივე ზემოთქმულის გამო იქმნება სერიოზული საშიშროება, რომ ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარმა იგივე ბედი გაიზიაროს, რაც ილორისა და ბედიის მონასტრებმა. ამ რესტავრაციით დაიკარგება მასალები, რომლებიც ავთენტურ ხასიათს ატარებენ.

აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრი ვერ იქნება გულგრილი ამგვარი ფაქტის მიმართ და მოუწოდებს ყველას, ვისაც ხელენიფება მსგავსი ვანდალიზმის შეჩერება, ჯეროვანი ყურადღება გამოიჩინონ და შეაჩერონ აფხაზეთში ქართული კვალის ნაშლის კიდევ ერთი მცდელობა.

“სოსხუმის ნაპირს მოადგა ტალღა”

ამას წინათ საკონცერტო აფიშებს შორის ერთ-ერთი, დიდი ქართველი ტენორის ზურაბ ანჯაფარიძის განუმეორებელი ლიმლიანი პორტრეტით დამშვენებული, იუნყებოდა: „სოსხუმის ნაპირს მოადგა ტალღა“. ნოსტალგიური გრძნობა აღმედრა. არჩილ კერესელიძის ამ ლირიკულ სიმღერას ჩვენი თაობა სწორედ ზურაბ ანჯაფარიძის შესრულებით გაცნო. მას შემდეგ ათეულმა წლებმა განვლეს. ახლა სხვაგვარი განცდა სდევს ამ სიტყვებს...

სწორედ ამ სიმღერის ვიდეო ჩანაწერით გაიხსნა ხორავას სახელობის მსახიობის სახლში ზურაბ ანჯაფარიძის ხსოვნის საღამო, რომელიც აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის ძალისხმევით გაიმართა ამა წლის 12 აპრილს. ეს თარიღი მართლაც სიმბოლურია, რადგანაც ამ დღეს დაიბადა და აღესრულა ქართველთა ეს უსაყვარლესი მომღერალი. ზურაბ ანჯაფარიძე ხომ საოცრად გახსნილი იყო ნებისმიერ ადამიანთან ურთიერთობისათვის, ყველასთან გამონახავდა საერთოს. და, აბა რა გასაკვირი იყო, რომ იმ საღამოს დარბაზში ისხდნენ ფეხბურთელები, ასაკოვანი მომხიბვლელი ქალბატონები, ზურაბის თანამედროვე „პოპულარული“ თბილისელები, აფხაზეთის ინტელიგენცია და, რასაკვირველია, მისი ოჯახი, კოლეგები, მომღერლები და მეგობრები. ყველა ეშურებოდა კიდევ ერთხელ მოესმინა მისი გერმანიის თუ ხოზე, რადამესი თუ აბესალომი, მინდია თუ ბერდო; სურდა კიდევ ერთხელ ეგრძნო მისი ვოკალის განუმეორებელი ხიბლი, არტისტული თავისუფლება და სილაღე, ლირიკა თუ დრამატული სიმძაფრე. მართლაც, თითქოს პირველად ვისმენდი მის

ჩანაწერებს, ისე მოცებდა ფაქიზი ნიუანსები, ტემბრული გრადაციები, ხასიათობრივი ტრანსფორმაციები, სუნთქვის რეგულაცია, რომელიც საშუალებას აძლევდა კულმინაციურ მაღალ ბგერაზე უსასრულო ფერმატოსათვის მიეღწია. ბატონ ზურაბს ჰქონდა ერთი თვისება — მსმენელი (განურჩევლად ვოკალურ ხელოვნებაში განსწავლულობის ხარისხისა) აქტიურად ჩაერთო თავის არეალში. ამჯერადაც ვიგრძენი ეს. მანრიკოს სტრეტას კულმინაციისას, უეცრად ვიღაცის ზეანული ხელი შევნიშნე. უეჭველი, რომ ამ მსმენელის ხელი ბატონ ზურაბთან ერთად მიიწვედა ზემოთ მაღალი ნოტისკენ. ამით დაიპყრო მოსკოვის დიდი თეატრის დასიც და მელომანებიც, საზღვარგარეთის დიდი აუდიტორია და თავისი მშობლიური ქვეყნის ყოველი კუთხე-კუნჭული, რომელშიც განსაკუთრებული ადგილი ეჭირა აფხაზეთს, სადაც არაერთხელ გაუმართავს კამერული საღამოები. მაგრამ აფხაზეთის საზოგადოებისათვის განსაკუთრებით სამახსოვრო იყო თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის ბოლო დიდი გასტროლები აფხაზეთის ქალაქებსა და რაიონებში, რომლის სწორუპოვარ გამირად ზურაბ ანჯაფარიძე იქცა.

იმ საღამოს აფხაზეთის სახელით ბატონ ზურაბს მათ „სულს დაჩნეული“ სიყვარული გაუმჟღავნეს თავისი ხელოვნებით სოსხუმის თეატრ „თეთრი ტალღის“ ახალგაზრდა მსახიობებმა ხატია ხარებავამ, ჯაბა ჯანაშიამ, თამთა შამათავამ, თორნიკე ბელთაძემ, ამავე თეატრის მმართველმა, საქართველოს სახალხო არტისტმა გიორგი რატიანმა, მწერალმა გურამ ოდიშარიამ, მომღერლებმა სალომე ჯიქიამ და ზვიად ხუხუამ.



კიდევ ერთხელ დაიპყრო მსმენელი სოსხუმის მკვიდრთა შთამომავალმა, თბილისის „ნიჭიერთა ათწლედის“ მოსწავლემ, მრავალი საერთაშორისო კონკურსის ლაურეატმა ანა ყიფიანმა, ქუთაისის ზურაბ ანჯაფარიძის სახელობის სკოლის მეექვსე კლასის მოსწავლემ ნოდარ მდივანმა.

ხსოვნის საღამო ვერ ჩაივლის მოგონებების გარეშე. გამონაკლისი არც ეს შეხვედრა იყო. თუ ანჯაფარიძის განუმეორებულ ვოკალურ ღირსებებზე მისი ვიდეო და აუდიო ჩანაწერები მეტყველებდნენ, ანჯაფარიძე — პიროვნება მოგონებებში გაცოცხლდა.

საღამოს წამყვანმა თამარ ნულუკიძემ პირველი სიტყვა მუსიკისმცოდნე გულბათ ტორაძეს გადასცა. სწორედ მისგან წამოვიდა იმპულსი, მოგონებებში გაცოცხლებულიყო ზურაბ ანჯაფარიძის პიროვნული თვისებები. მომღერალმა და ჟურნალისტმა

(გაგრძელება მე-4 გვ.)

(დასაწყისი მე-3 გვ.)

გია ჭირაქაძემ, კონცერტმაისტერმა დარეჯან მახაშვილმა, მომღერალმა თამარ გურგენიძემ და რეჟისორმა გიზო ჟორდანიამ ზურაბთან ერთობლივი მუშაობის პერიოდთან დაკავშირებული ბევრი საინტერესო ფაქტი გაიხსენეს. ეს იყო ნოველები იუმორით, სევდით, წარმატებებით თუ კუროზებით შეზავებული. მათ შორის იყო აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მურად ანჯაფა-

რიძე, რომელმაც მომღერლის აფხაზეთური პერიოდი გაიხსენა და ზურაბ ანჯაფარიძე – უმცროსს დიდი ფეხბურთელების ავტოგრაფებით დამშვენებული ბურთი გადასცა ზურაბ ანჯაფარიძე – უფროსის მემორიალური მუზეუმისათვის. და კიდევ ერთი სტუმარი — გურამ ქაშაკაშვილი. ვისაც ქართულ ვოკალთან რაიმე შეხება აქვს, მისთვის კარგად არის ცნობილი ვოკალისტების ამ მფარველის და მეგობრის სახელი, რომელმაც დიდი ღვაწლი დასდო ზურაბ ანჯაფარიძის

სახელის უკვდავყოფას. საღამოს ბოლოს კვლავ აფხაზეთის ნოსტალგიური განცდა გამეფდა — ისევე გაისმა „სოხუმის ნაპირს მოადგა ტალღა“... მადლობა მათ, ვინც ცოტა ხნით მაინც დაგვაბრუნა ერთიანი საქართველოს ცხოვრებაში, კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ ხელოვნებას საზღვრები არა აქვს. იქნებ დადგეს დრო, როდესაც აღარ ვიტყვი აფხაზეთზე „ზღვა, რომელიც შორია“...

მანანა კორძია

„მადლი საქმიანი“ და „საქმე მადლიანი“

„მადლი ეს არს, რომელმან არცა ნაცვლის-გებისათვის, არცა მოყვრობისათვის, არცა შიშისათვის, არცა სიყვარულისათვის კეთილი და ქველი საქმე ქნას; კვალად მადლი არს ყოველივე კეთილი და რაიცა ცოდვა არა არს, მადლი არს“.

სულხან-საბა ორბელიანი

სწორედ სულხან-საბა ორბელიანის ცხოვრება, მის მიერ საქვეყნო საქმისათვის გაწეული ღვაწლი, ქართველთა სულიერი სამყაროს მისეული ხედვა იყო ცნობილი ქართველი მეცნიერის **თამაზ კვაჭანტირაძის** საუბრის თემა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებთან. შეხვედრა მოაწყო აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრმა და იგი ქართული ენის დღეს მიეძღვნა. „საქართველოს აქვს გაზი, ელექტროენერგია, სხვა ბევრი სიკეთე, მაგრამ აკლია დიდი კაცები, სწორედ ასეთი დიდი კაცი იყო სულხან-საბა ორბელიანი“, — ბრძანა ბატონმა თამაზმა. მან მიმოიხილა ამ დიდი ქართველის ეპოქა, ისაუბრა იმ ისტორიულ ფაქტებზე, რამაც სულხან-საბას მოღვაწეობა განაპირობა როგორც მწერლის, ისე დიპლომატისა. გაიხსენა ვახტანგ VI, განათლებული და შორსმჭვრეტელი მეფე ქართლისა, რომელსაც, სამწუხაროდ, მძიმე დროში მოუწია ქვეყნის მართვა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მისი დამსახურებაა პირველი ქართული ნაბეჭდი სახარებისა და „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემა. „საქართველოს ევროპისაკენ ჰქონდა გეზი აღებული. სულხან-საბას ევროპაში მოგზაურობის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი ევროპასთან ჩაშლილი ხიდის აღდგენა იყო, პირდაპირი გზით კავშირის დამყარება. საბას უნდოდა, ერთგვარი პროტექცია გაეწია ვახტანგისათ-

ვის, რათა ევროპას ვატიკანის, საფრანგეთის მეშვეობით ზეგავლენა მოეხდინა სპარსეთზე და ვახტანგი მეფედ დაენიშნათ, რადგან იგი ჯანიშინი იყო. მართალია, ვახტანგიც შაჰის კარზე იყო გაზრდილი, მაგრამ სულით და ხორცილ ქართველი გახლდათ და ქართულ საქმეს აკეთებდა. სულხანმა ბოლომდე უერთგულა თავის აღზრდილ მეფეს და უკვე ასაკოვანი რუსეთშიც გაჰყვა. ევროპასთან დაახლოების მიზნით საბამ საჩოთირო ნაბიჯიც კი გადადგა — კათოლიციზმისკენ მიიღრიალა, რაც მართლმადიდებლური თვალსაზრისით ერესი იყო. ბევრი გასაჭირი გადაიტანა ამ მოგზაურობისას მან, არც ქურდობა და ყაჩაღობა დაჰკლებია, მაგრამ სწორედ ამ ელჩობამ მოგვცა მემუარული მწერლობის ის მარგალიტი, რასაც „მოგზაურობა ევროპაში“ ჰქვია.

როდესაც მე სულხან-საბაზე ვსაუბრობ, ყოველთვის მინდა რაიმე ქართულ სიტყვას, ცნებას დავეუკავშირო. ეს სიტყვაა მადლი. მადლს აფრქვევდა, მადლს ასხივებდა. „მადლი საქმიანი“ და „საქმე მადლიანი“ — ეს ის ცნებებია, რომელიც ყველაზე კარგად მიესადაგება სულხან-საბა ორბელიანს“ — ბრძანა მეცნიერმა, მაგრამ ისიც აღნიშნა, რომ ქართულმა საზოგადოებამ ჯეროვნად ვერ დააფასა ამ დიდი პატრიოტის საქმიანობა, უმადურობა გამოიჩინა მის მიმართ. უმადურობაც განმარ-

ტა და ამის კლასიკურ მაგალითად ბიბლიური დავით მეფე, მეფსალმუნე მოიყვანა, რომელმაც თავისი მეომარი განირა მისი ცოლისადმი აღძრული ვნების გამო, თუმცა შემდეგ გულმხურვალედ მოინანია და ჩვენ არაჩვეულებრივი სახელმძღვანელო დაგვიტოვა ფსალმუნების სახით — ის, რაც დღემდე ნუგეშად გვაქვს: სულიწმიდის წინაშე ჩადენილი ცოდვის გარდა ყველაფერი შეგვენდობა, თუ მოვიწინიებთ, ოღონდ გულწრფელად.

თამაზ კვაჭანტირაძემ პარალელი გაავლო ეპისკოპოს გაბრიელ ქიქოძის მოღვაწეობასთან, რომლის ქადაგებებიც გვიან დაფასდა და გამოიცა. სწორედ ასე, საბჭოთა პერიოდში, მხოლოდ სულხან-საბას იგავ-არაკებზე ამახვილებდნენ ყურადღებას და საერთოდ ამოიღეს პროგრამიდან მისი „სწავლანი“, ქადაგებები, რომელსაც უდიდესი ზნეობრივი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს.

ბატონმა თამაზმა აღნიშნა ისიც, რომ იგი მთხარულია სოხუმის უნივერსიტეტის სტუდენტებთან შეხვედრით და განსაკუთრებით იმით, რომ საუბრის თემა სულხან-საბა ორბელიანი იყო.

შეხვედრას ესწრებოდნენ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ჯონი აფაქიძე, პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები, სულიერებისა და კულტურის ცენტრის თანამშრომლები.

„ჩვენი მემკვიდრეობა ისეთივე უნდა იყოს, როგორც პეჩენო“

(სტუმრად მე-2 მსოფლიო ომის ვეტერანთან)

ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების დღეს აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის თანამშრომლები ესოდენ მნიშვნელოვანი თარიღის მისალოცად ბატონ ირაკლი ყანდარელს ვეწვიეთ.

გორში, პატარა, ერთოთახიან ბინაში „საბრძოლო დიდებისა და ხალხთა მეგობრობის“ საოცარი მუზეუმი მონყობილი.. იგი მეორე მსოფლიო ომის ვეტერანს, საქართველოს კულტურის დამსახურებულ მუშაკს, ღირსების ორი ორდენის კავალერს, სოფელ ფსხუს საპატიო მოქალაქეს, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის წევრს, ჩეხეთისა და სლოვაკეთის რესპუბლიკების კულტურის დამსახურებულ მუშაკსა და საპატიო მოქალაქეს, პოლონეთის არმიის ვეტერანს, უკრაინის შვილობილს, გვარდიის გადამდგარ პოლკოვნიკ ირაკლი ყანდარელს ეკუთვნის. ეს მხნე მოხუცი შესაშური ენერჯით უვლის და პატრონობს ომში დაღუპული მეგობრების სლოვენადმი მიძღვნილ მუზეუმს. კედლებზე გამოფენილია უამრავი დოკუმენტი, სანჭარის უღელტეხილზე წარმოებული ბრძოლების ფოტოები, მრავალი

ლი სიგელი და მადლობის წერილი. ირაკლი ყანდარელი თბილისის I სამხედრო-ფეხოსანი სასწავლებლის კურსანტი იყო, როდესაც 1942 წლის ზაფხულში აფხაზეთის მთიანეთს ფაშისტური გერმანიის ჯარები მოადგნენ. ეს კარგად განვრთნილი, სამთო ბრძოლებისათვის მომზადებული სპეციალური შენაერთები შავიზღვისპირეთისაკენ გაჭრას ამ გზით ცდილობდნენ და როგორც ჩანს, არ ელოდნენ ისეთ წინააღმდეგობას, როგორსაც წაანყდნენ. რინის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე მათ წინ სწორედ კურსანტები აღუდგნენ. „ძალები ძალზე არათანაბარი იყო, თითოეულ ჩვენს მებრძოლზე 4 გერმანელი მოდიოდა, — იხსენებს ბატონი ირაკლი. — უმძიმეს პირობებში, როდესაც ერთ ორცხობილას ორი კაცი ვიყოფდით და წყურვილის მოსაკლავად თოვლს ვჭამდით, თამბაქოს უკანასკნელ მწიკვს დაჭრილ მეგობარს ვუთმობდით, ყინულზე ვინჯით და შეტევაზე გადავდიოდით, რათა ალაფად იარაღი ჩაგვეგდო ხელში, ვერაფერი გასტეხდა ჩვენს გულს — ჩვენ სამშობლოსათვის ვიბრძოდით!“ ირაკლი ყანდარელი იბრძოდა უკრა-

ინაში, ჩეხოსლოვაკიაში. ომის შემდეგ მსახურობდა დასავლეთ უკრაინაში, სომხეთში, პოლონეთში, აზერბაიჯანში, შემდეგ საქრთველოში. თადარიგში გასვლის შემდეგ გადაწყვიტა სწორედ დაღუპული მეგობრების ხსოვნის უკვდავსაყოფად მუზეუმის შექმნა. 1968 წელს მაღალმთიან სოფელ ფსხუს მცხოვრებთა შეკრებაზე მინვეულ ირაკლი ყანდარელს აფხაზეთის საპატიო მოქალაქის წოდება მიანიჭეს. ბატონ ირაკლის აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების მისეული ხედვა აქვს და მიაჩნია, რომ ამ საქმეში სწორედ ისეთმა ადამიანებმა უნდა მიიღონ აქტიური მონაწილეობა, როგორც თვითონაა: „მე ძალიან კარგად მიცნობს აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლება. ომის შემდეგ არაერთხელ ვიყავი იქ, გაგრაში, სოხუმში და ა.შ. ვესწრებოდი მთაში დაღუპულ მებრძოლთა ძეგლის გახსნას, გაგრაში ჩვენი სასწავლებლის მემორიალური დაფის გახსნას, ვიყავი გალში ომის ვეტერანის გადმოსვენებაზე. მივმართავ აფხაზებს: ჩვენი მეგობრობა ისეთივე უნდა იყოს, როგორც ადრე!“

ექსკურსია ეროვნულ მუზეუმში



აფხაზეთის ფინანსთა სამინისტროსა და განსაკუთრებულ და-

ვალებათა საკითხებში აფხაზეთის მინისტრის აპარატის თანამშრომლებს მოვუწყვეთ ექსკურსია საქართველოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კულტურის კერაში — ეროვნულ მუზეუმში. აქ დაარსების დღიდან თავს იყრიდა საგანძური, რომელიც საუკუნეებს ითვლის. სამი დღის მანძილზე შესვენების საათებში ცენტრის თანამშ-

რომელი ნათია არქანია თბილისის ცენტრში, თავისუფლების მოედნის სკვერთან, ხედებოდა 15-15 თანამშრომელს, რომლებსაც საშუალება მიეცათ დაეთვალიერებინათ ქართული კულტურის უიშვიათესი ძეგლები, ოქროს ნაკეთობები. ყოველ ექსპონატზე დამთვალიერებლებმა ექსკურსიამძღოლის პროფესიული განმარტება მიიღეს. დიდი შთაბეჭდილების ქვეშ ტოვებდნენ ეროვნული გალერეის შენობას, რომელიც თითქმის 235 წლის წინ აშენდა და რომელშიც თავდაპირველად ხანგრძლივი დროის განმავლობაში სასულიერო სემინარია ფუნქციონირებდა.

მოდერნიზაცია სკოლაში

აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საზრუნავს იძულებით გადაადგილებული მოზარდების სულიერებაზე ზრუნვა წარმოადგენს. ამ მიზნით არაერთი ღონისძიება ტარდება, იქნება ეს მოლოცვითი მოგზაურობები თუ მოძღვრის

ვიზიტები სკოლებში. რამდენიმე თვის წინ აფხაზეთის №2 საჯარო სკოლაში (ვაშლიჯვარში) მოვიწვიეთ მოძღვარი, ამჯერად კი, 15 მაისს, ორგანიზება გავუკეთეთ თბილისის ზღვაზე, აფხაზეთის №3 საჯარო სკოლაში მამა დავითის (კონჯარია) მობრძანებას. მან აკურთხა სკოლა,

დალოცა მოსწავლეები და მასწავლებლები და ზეთი სცხო მათ. მოძღვრის ვიზიტი სკოლებში სულიერი მონყალების საქმიანობის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია, რომელსაც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესი ილია II ლოცვა-კურთხევით ხელმძღვანელობს დეკანოზი ბიძინა (გუნია).

ქატიკო-აფხაზური ბენი ლეონიდე (ლეო) შერვაშიძის განსვენება



ზატორი იყო შერვაშიძეთა გვარის წინამძღოლი ბატონი რეზო შერვაშიძე, ხოლო 2011 წლის 7 ნოემბერს საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრში, რომელსაც **სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II** ესწრებოდა.

გაზაფხულის თბილ საღამოს ნელა მივუყვები აღმაშენებლის გამზირს. იმაზე ვფიქრობ, როგორ შემხვდება ცნობილი მეცნიერისა და ხელოვნებათმცოდნის მეუღლე — ქალბატონი ალდონა შერვაშიძე. ველავ: თალი გავიარე და ჩვეულებრივ „იტალიურ ეზოში“ აღმოვჩნდი. აქ ჯერაც ძველი თბილისის სუნთქვა იგრძნობა. ხის რიკულებიანი აივნები, დაკიდებული კიბეები, ასვლისას რომ საოცარ ხმებს გამოსცემს — თითქოს რაღაცას გიყვება. მეორე სართულიდან მოხუცი ქალბატონი იყურება და ვხვდები, სწორედ ეს არის ჩემი რესპოდენტი. ავდივარ. ვეცნობით ერთმანეთს. თბილად მესალმება და ოთახში მიწვევს. პატარა ოთახია, მოკრძალებული, კედელზე ორი სინმინდეა: უწმიდესის ნაჩუქარი ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატი და სოხუმიდან ჩამოტანილი წმ. ნიკოლოზის უძველესი ხატი. ვსხდებით. უხერხულობა უცებ ქრება. ისეთი შეგრძნება მეუფლება, თითქოს ძალიან დიდი ხანია ვიცნობთ ერთმანეთს. ეს ქალბატონი ალდონა უშუალოდისა და სიტბოს დამსახურებაა. საოცრად ნატიფი მოხუცია, წელში გამართული, დახვეწილი ნაკვეთითა და საოცარი, გულში ჩამწვდომი ხმით. ვერც იფიქრებ, რომ უამრავი გასაჭირი აქვს გამოვლილი. მშვიდად, საინტერესოდ საუბრობს. ჩვენი საუბრის თემა ბატონი ლეონიდე (ლეო) შერვაშიძეა, აფხაზეთის მთავართა პირდაპირი შთამომავალი, დიდი მეცნიერი, ხელოვნებათმცოდნე, ეთნოლოგი, მხატვარი, ჰერალდიკოსი, ჭეშმარიტი მამულოშვილი, რომლის დაბადებიდან 100 წლის იუბილე ცოტა ხნის წინ აღინიშნა. საგულისხმოა, რომ ბატონი ლეო ერთნაირად საამაყოა როგორც აფხაზეთის, ისე სრულიად საქართველოსათვის, ამიტომაც საიუბილეო თარიღი სოხუმშიც აღინიშნა, ბათუმშიც, სადაც იუბილეს ორგანი-

რომელმაც დიდი ღვაწლი გასწია ისტორიასა და ხელოვნებათმცოდნეობაში. მქონდა ბედნიერება და მას პირადად ვიცნობდი. თავისი საქმიანობის განმავლობაში ის სწავლობდა ლიხნის ფრესკებს. მე მართლა მომენატრა ლიხნის ფრესკები და აფხაზეთი, რომლის მიტროპოლიტიც 11 წლის განმავლობაში ვიყავი. დღეს ვისხენებთ პიროვნებას, რომელმაც დიდი ღვაწლი გასწია არა მხოლოდ მეცნიერებაში, არამედ ჩვენს შორის ურთიერთობაში. შევთხოვ უფალს, ნათელში ამყოფოს მისი სული და დაამკვიდროს იგი, სადაც მართალნი და წმინდანნი განისვენებენ“, — ბრძანა უწმიდესმა.

ლეო შერვაშიძე 100-მდე აფხაზური ხალხური ზღაპრის ილუსტრაციის ავტორია. ის იყო, აგრეთვე, აფხაზური ანბანისა და ა. ფადეევის ისტორიის სახელმძღვანელოს მხატვარი. მას ეკუთვნის აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის კოსტიუმების ესკიზები, 60-იანი წლების ბოლოს ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „დაისის“ დადგმის დეკორაციები და კოსტიუმები. მან გააფორმა სამსონ ჭანბას სახელობის აფხაზეთის დრამატული თეატრის რამდენიმე სპექტაკლი, საბავშვო ყურნალი „ამცაბზი“ (ნაპერნკალი). განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი ღვაწლი აფხაზეთში შემორჩენილი ისტორიული ძეგლების შესწავლაში, მათ შორის ბევრია მის მიერ აღმოჩენილი და გამოკვლეული. მან ერთ-ერთმა პირველმა პირადად იხილა და გამოიკვლია უძველესი ჩაძირული ქალაქი დიოსკურია, მისი არქეოლოგიური ობიექტები მდ. კელასურის შესართავთან, შეადგინა სოხუმის სიმარგესთან წყალქვეშ აღმოჩენილი ნაგებობების განლაგების რუკა. იგი არის სოხუმში, თბილისსა და მოსკოვში გამოქვეყნებული რამდენიმე ფუნ-

დამენტური მონოგრაფიისა და ასზე მეტი სამეცნიერო სტატიის ავტორი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ორი მათგანი: „შუა საუკუნეების ქართული მინიატურების საკითხისადმი“ და „შუა საუკუნეების მონუმენტური ფერწერა აფხაზეთში“. მან აღმოაჩინა და შეისწავლა მეფემ ოხუამეს, აკაფასა და ცხელკარის მოხატულობები. იგი იკვლევდა 1300 წლით დათარიღებულ მოქვის სახარებას, გადანერლსა და ილუსტრირებულს ეპისკოპოს დანიელის შეკვეთით მოქვის მონასტერში; იკვლევდა, ასევე, სხვა ქართულ ძეგლებს — სვანურ მოხატულობებს, „ჯრუჭის“ ოთხთავს, „ვეფხისტყაოსნის“ მე-17 საუკუნის ილუსტრირებულ ხელნაწერსა და მრავალ სხვას. მასვე ეკუთვნის ე.წ. „ფიგურული ბეტონის ბლოკების“ გამოგონება, რისთვისაც ჯილდოც დაიმსახურა. სამეცნიერო-კვლევით მოღვაწეობასთან ერთად ლეო შერვაშიძე გატაცებით მუშაობდა ევროპულ და ქართულ ჰერალდიკაზე. მეცნიერ შალვა ინალ-იფას მონაცემებზე დაყრდნობით მან მოამზადა აფხაზეთის 53 საგვარეულო გერბი...

ბატონ ლეო შერვაშიძეს შთამომავალიც ღირსეული ჰყავს — მხატვარი ალექსი შერვაშიძე, რომელსაც მამისგან გადმოეცა ხელოვნების სიყვარული.

ქალბატონი ალდონა დიდი სიტბოთი იხსენებს მეუღლესთან გატარებულ ბედნიერ წლებს, ბედნიერს, მიუხედავად მრავალი გასაჭირისა, დევნილობისა. ახალგაზრდული ნაპერწკლები უკრთის თვალებში, როდესაც მასთან პირველი შეხვედრის შესახებ საუბრობს, ერთგული მეგობრის უკანასკნელი დღეების გახსენებისას სევდა ერევა ხმაში...

ჩვენი გამოთხოვების დროც დგება. ქალბატონი ალდონა სანთელს ანთებს და გულმხურვალედ ლოცულობს ჩემთვის და ჩემი ოჯახისათვის. ესეც ჭეშმარიტი კეთილშობილებისა და სათნოების გამოხატულებაა. და მახსენდება ბატონი ლეოს სიტყვები წყალქვეშ აღმოჩენილ სტელასთან დაკავშირებით: „განა შემთხვევით აღმოჩნდა დღეს სოხუმის ბარელიეფად ნოდებული ხელოვნების ნიმუში აქ, ძირძველ ქართულ, აფხაზურ მიწაზე? ქართულ-აფხაზური გენი ერთი გენია და მასზე ცალ-ცალკე საუბარი მიუღებელია!..“

წმიდა მონაჰა ბასილისკო
(დაახლ. 308)
22 (04.06) მაისი

მონაჰე ბასილისკო (+308) წმიდა თეოდორე ტირონის (ხს. 17 თებერვალს) ძმისწული იყო და იმპერატორ მაქსიმიანე გალერიუსის (305-311) დროს ძმებთან, ევტროპისა და კლეონიკესთან ერთად აღესრულა ქრისტესთვის. წმიდა მონაჰენი კლეონიკე და ევტროპი ჯვარზე გააკრეს (ხს. 3 მარტს), მონაჰე ბასილისკო კი კომანში (დასავლეთ საქართველო) გადაასახლეს. საპყრობილეში მყოფ ბასილისკოს უფალმა აუწყა, რომ მონაჰეობრივად აღესრულებოდა. წმიდანმა დილეგის დარაჯებს სთხოვა, მშობლიურ სოფელში გაეშვათ ოჯახთან გამოსამშვიდობებლად. დარაჯებმა, რომლებიც პატივს სცემდნენ წმიდანს, შეუსრულეს მას თხოვნა. როცა აგრიპამ ეს ამბავი გაიგო, განრისხდა და მკაცრად დასაჯა

დარაჯები. საპყრობილეში დაბრუნებულ ბასილისკოს ბორკილები დაადეს, ფეხზე კი ლურსმნებგაჩრილი რკინის ჩექმები ჩააცვეს და კომანში გაგზავნეს. კომანში ჩასული პაპანაქებისაგან შეწუხებული მცველები ერთ სახლში შევიდნენ დასასვენებლად, მშვიერ-მწყურვალი მონაჰე კი მცხუნვარე მზის ქვეშ ხეზე მიაბეს. მოულოდნელად მიწა იძრა, კლდე გაიპო და წყარომ ამოხეთქა. მიწისძვრით შეშინებული მაგისტროსი, ჯარისკაცები და ოჯახის დიასახლისი ტროიანა გარეთ გამოცვივდნენ და, მომხდარი სასწაულით განცვიფრებულებმა, მონაჰე გაათავისუფლეს. წმიდანთან სოფლის მცხოვრებლები მოდიოდნენ და კურნებას იღებდნენ. ბოლოს მონაჰე მმართველს მიჰგვარეს. მან კერპების თაყვანისცე-

მა მოსთხოვა წმიდა ბასილისკოს. მონაჰემ უპასუხა: „მე ყოველ ჟამს ვწირავ უფალს სადიდებელ და სამადლობელ მსხვერპლს“. წმიდანი სამსხვერპლოსთან მიიყვანეს. მოულოდნელად ზეციდან ცეცხლი გარდამოხდა, სამსხვერპლო დანვა, კერპები კი მტვრად აქცია. მმართველის ბრძანებით წმიდანს თავი მოჰკვეთეს, გვამი კი მდინარეში გადააგდეს. წმიდა ბასილისკო აღესრულა 308 წელს. ქრისტიანებმა გამოისყიდეს მისი წმიდა ნაწილები და პატივით დაფლეს. მალე აქ გაშენდა წმიდა ბასილისკოს სახელობის ტაძარი. კომანში გადმოსახლებულ წმიდა იოანე ოქროპირს (ხს. 13 ნოემბერს) სიკვდილის წინ გამოეცხადა წმიდა ბასილისკო და აუწყა: „ხვალ ჩემთან იქნები“. წმიდა მონაჰე ბასილისკოს მოღვაწეობა ხალხს მისი წამების თვითმხილველმა, წმიდა ევსეგნიოსმა (ხს. 5 აგვისტოს) აცნობა.

„წმიდათა ცხოვრებანი“, ნ. 1, თბილისი, 2008 წ.

საკლესიო კალენდარი

- 1 ივნისი (პარ.) — წმ. ნინოს საქართველოში შემოსვლა; — ამალეების დღესასწაულის წარგზავნა.
- 2 ივნისი, სულის შაბათი — წმ. ნინოს მშობლების: ღირსი ზაბულონისა და სოსანას ხსენება; — მიცვალებულთა ხსენება.
- 3 ივნისი, აღდგომიდან მე-8 კვირა — **სულთმოფენობა**, წმიდა სამების დღე — მოც. სწორთა კონსტანტინე მეფისა (337წ.) და ელენე დედოფლის (327წ.) ხსენება;
- 4 ივნისი (ორშ.) (მსგეფსი ხსინილია) — სულიწმიდის დღე — მონ. ვასილისკოს (კომანში წამებულის – 308წ.) ხსენება;
- 5 ივნისი (სამშ.) — წმ. მეფის მირიანის და დედოფალ ნანას ხსენება;
- 6 ივნისი (ოთხშ.) — მცხეთის ჯვრის დღესასწაული; — ღირსი სვიმეონ მესვეტის ხსენება (596წ.)
- 7 ივნისი (ხუთშ.) — წმ. იოანე ნათლისმცემლის თავის მესამედ პოვნა (დაახლ. 850წ.)
- 10 ივნისი, სულთმოფენობიდან I, ყოველთა წმიდათა კვირა: — ღირ. ნიკიტა აღმსარებლის (ქალკედონელი ეპისკოპოსის IXს.) ხსენება; — პეტრე-პავლობის მარხვის აღება — **პეტრე-პავლობის მარხვის დასაწყისი**;
- 11 ივნისი (ორშ.) — მოციქულ ერმის (სამოცდაათთაგანის) ხსენება;
- 13 ივნისი (ოთხშ.) — ღირ: შიო ახლის, დავით, გაბრიელ და პავლე გარეჯელთა (1696წ.) ხსენება;
- 17 ივნისი, სულთმოფენობიდან II კვირა — ყოველთა ღირსთა და ღმერთშემოსილთა მამათა ათონის წმ. მთაზე გაბრწყინებულთა ხსენება;
- 20 ივნისი (ოთხშ.) — მონ. თეოდორე ანკვირელის (303წ.) ხსენება;
- 21 ივნისი (ხუთშ.) — მონ. თევდორე მღვდლის (კველთელის – 1609წ.) ხსენება;
- 22 ივნისი (პარ.) — ღირ. იოანე შავთელ — გაენათელის (XIII) ხსენება;
- 24 ივნისი, სულთმოფენობიდან III კვირა — მოც. ბართლომესა და ბარნაბას (I) ხსენება;
- 25 ივნისი (ორშ.) — ღირ. იოანე (თორნიკე) მთაწმინდელისა (X) და ღირ. ისიდორე სამთავნელის ხსენება (VI);
- 26 ივნისი (სამშ.) — მღვდელმონაჰე ანთიმოზ ივერიელის (XVIII) ხსენება;
- 27 ივნისი (ოთხშ.) — წინასწარმეტყველ ელისეს (Xს. ქრ. წინ) ხსენება;
- 29 ივნისი (პარ.) — მონ. ქაიხოსრო ქართველის ხსენება (1558წ.);
- 30 ივნისი (შაბ.) — მონ. შალვა ახალციხელის ხსენება (1227წ.).

- 1 ივლისი, სულთმოფენობიდან მე-4 კვირა — ღირსი მიქაელ ულუმბოელის ხსენება (VI ს.);
- 2 ივლისი (ორშ.) — უფლის ძმის, მოციქულ იუდას ხსენება;
- 4 ივლისი (ოთხშ.) — წმ. დიდებულთა მონამეთა საქართველოს მეფეთა არჩილისა (744 წ.) და ლუარსაბის (1622 წ.) ხსენება;
- 7 ივლისი (შაბ.) — შობა პატიოსნისა დიდებულისა წინასწარმეტყველისა, წინამორბედისა და ნათლისმცემელისა იოანესი;
- 8 ივლისი, სულთმოფენობიდან მე-5 კვირა — ღირ. მონ. ფებრონია ქალწულის ხსენება (დაახ. 304 წ.);
- 10 ივლისი (სამშ.) — ღირ. გიორგი მთაწმიდელისა (1065 წ.) და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მღვდელმონამე კირიონ II (1918 წ.) ხსენება;
- 11 ივლისი (ოთხშ.) — აღმოყვანება ნაწილთა წმიდა მონამეთა კვიროს და იოანე უეცხლოთა და საკვირველთმოქმედთა (412 წ.);
- 12 ივლისი (ხუთშ.) — **პეტრე-პავლობა** (დიდებულთა და ყოვლად ქებულთა თავთა მოციქულთა პეტრესი და პავლეს ხსენება);
- 13 ივლისი (პარ.) — **სპეტიცხოვლობა** — დიდებულთა და ყოვლად ქებულთა ათორმეტ მოციქულთა კრება;
- 15 ივლისი, სულთმოფენობიდან მე-6 კვირა — დადება პატიოსნისა სამოსლისა ყოვლადწმიდისა დედუფლისა ჩვენისა ღმრთისმშობელისა ვლადქერნას (V ს.);
- 16 ივლისი (ორშ.) — **ბერბეთობა** — ყოვლადწმიდა სამების დღესასწაული სტეფანწმინდის რაიონის სოფელ გერგეტში;
- 17 ივლისი (სამშ.) — წმ. ანდრეას, კრეტელი მთავარეპისკოპოსის („სინანულის დიდი კანონის“ შემქმნელის) ხსენება (712-726 წ.);
- 18 ივლისი (ოთხშ.) — ღირ. ათანასე ათონელის ხსენება (1000 წ.);
- 23 ივლისი (ორშ.) — ორმოცდახუთთა მონამეთა, ნიკოპოლისში წამებულთა ხსენება (დაახლ. 319 წ.);
- 24 ივლისი (სამშ.) — მოციქულთა სწორის ოლღას, ნათლისღებით ელენეს ხსენება (969 წ.);
- 25 ივლისი (ოთხშ.) — ღირ. მამათა ჩვენთა ათონელთა: იოანეს და გაბრიელის ხსენება (X ს.);
- 26 ივლისი (ხუთშ.) — კრება გაბრიელ მთავარანგელოზისა;
- 28 ივლისი (შაბ.) — მონ. კვირიკესა და ივლიტას ხსენება (დაახლ. 305 წ.);
- 29 ივლისი, სულთმოფენობიდან მე-8 კვირა — ექვსი მსოფლიო კრების წმიდა მამათა ხსენება;
- 30 ივლისი (ორშ.) — დიდმონ. მარინეს ხსენება (IV ს.);
- 31 ივლისი (სამშ.) — ღირ. კოზმან ხუცესმონაზონის ხსენება (1630 წ.);

ჩვენი მოძღვარი

2012 წლის 30 აპრილს წმ. ექვთიმე თაყაიშვილის სახლ-მუზეუმის საკონფერენციო დარბაზში ჩატარდა ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრის მიერ ორგანიზებული სემინარი, მიძღვნილი უწმიდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II აღსაყდრებიდან 35 და დაბადებიდან 80 წლისთავისადმი. ვაქვეყნებთ წმ. სამების ლავრის მღვდელმსახურის, სულიერებისა და კულტურის ცენტრის თავმჯდომარის მოადგილის **ღიკანოზ ბიძინა გუნიას** მოხსენებას „ქრისტიანული ოჯახი“

ქრისტიანული ოჯახი

წინათქმა

მორწმუნე ადამიანის ცნობიერება და სოფლაღქმა, მკვეთრად განსხვავდება ურწმუნო ადამიანის შეხედულებებისა და წარმოდგენებისაგან. მართლმადიდებელი ადამიანის თვალსაწიერი ამქვეყნიურ, მიწიერ საზღვრებს სცილდება და დროში მარადისობას ქვრეტს. მისი ცნობიერება სამყაროს არსებობას მოიცავს ქვეყნიერების შექმნიდან ვიდრე მეორედ მოსვლამდე, და მის შემდგომ პერიოდსაც — მარადიულ ცხოვრებას, რომელსაც უაღრესად ნათლად წარმოგვიჩენს მართლმა-

დიდებლური სარწმუნოების სიმბოლო (მრწამსი): „...მოველი აღდგომასა მკვდრეთით. და ცხოვრებასა მერმისა მის საუკუნესასა. ამინ“.

ამგვარად, ჭეშმარიტი მორწმუნისათვის, ხილულ სამყაროსთან ერთად, პარალელურად, უხილავი-სულიერი სამყაროც არსებობს და ეკლესიური ცხოვრებით, ორივე სამყაროს რეალიების თანაზიარი ხდება. ამასთან, იგი აცნობიერებს, რომ ღვთის მიერ დადგენილი წესით, ორივე სამყარო განსმსჭვალავს ერთმანეთს, სადაც იერარქიულად უპირატესი ადგილი უხილავ სამყაროს განეკუთვნება.



რადიკალურად განსხვავებულია ამქვეყნიური საზრუნავით დამძიმებული, ოდენ ყოფით პრობლემებს გადაგებული ადამიანის ცნობიერება, რაც უკლებლივ აისახება მის ქმედებებსა თუ აზროვნების წესზე, მის სულიერ ღირებულებათა სისტემაზე, მთელ მის ცხოვრებაზე. ასეთი ადამიანი, გარეგნულად, შეიძლება მორწმუნედაც წარმოუჩნდეს სულიერ ცხოვრებაში გამოუცდელი პიროვნების მზერას, რაზეც ასე შეგვაგონებს პავლე მოციქული:

— „ღმერთსა აღიარებენ ვითარმედ იციან, ხოლო საქმით უარ-ჰყოფენ, საძაგელ არიან და ურჩნი, და ყოვლისა მიმართ საქმისა კეთილისა გამოუცდელ“ (ტიტი 1,16). ანდა,

— „რამეთუ უმეცარ იყვნეს იგიინი სიმართლისა მისგან ღმრთისა და თვისსა მას სიმართლესა ეძიებდეს დამტკიცებად და სიმართლესა ღმრთისასა არა დაემორჩილნეს“ (რომ. 10,3).

ქრისტიანული ოჯახის არსის წარმოჩენისათვის აუცილებელია იმის გაცნობიერება, რომ შემოქმედმა ადამიანი მთელ მიწიერ სამყაროზე აამაღლა, მიანიჭა გონება და თავისუფალი ნება, განაშვენა თავისი ხატებით და ამით მისი განსაკუთრებული, მაღალი დანიშნულება გამოკვეთა. ადამიანის სულიერი თვალთახედვა ღმერთისა და სულიერი სამყაროსკენ არის მიმართული, სხეულებრივი კი ნივთიერ სამყაროს აღიქვამს.

ადამიანის უპირველესი დანიშნულება ღვთის განდიდებაა. იგი მონოდეებულია უერთგულოს ღმერთთან არსებულ კავშირს, შეიცნოს და განადიდოს შემოქმედი, სულით ისწრაფოდეს მისკენ, ხარობდეს მასთან ერთობით და მასში ცხოვრობდეს. ამისთვის ადამიანი თავისი პირველსახის ღირსი უნდა შეიქნას. სხვა სიტყვებით — იგი მონოდეებულია ვიდოდეს სრულყოფისაკენ, გაუფრთხილდეს თავის თავში ღვთის ხატებას, და აღორძინებისა და სულიერი სრულყოფილების გზით ღვთის მსგავსებას მიაღწიოს.

ყოველივე ზემოთქმულის მოხმობა ერთობ მნიშვნელოვნად გვესახება ქრისტიანული ოჯახის ქვეყნობის დანიშნულების წარმოჩენისათვის, რომელიც თავისუფალი იქნება ყოველგვარი ცრუ ორიენტირების, წარმოსახვებისა თუ ილუზიებისა-

გან, და რაზეც ცხადად მიანიშნებს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II თავის ქადაგებებში. კერძოდ, იგი ბრძანებს:

— „ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა, რომელიც კაცობრიობის წინაშე დგას, ოჯახის პრობლემაა, რომელიც იმის გარკვევას გულისხმობს, თუ როგორი ურთიერთობა უნდა არსებობდეს როგორც მეუღლეთა, ისე მშობლებსა და შვილებს შორის“ (ილია II 1997: 167). მისივე შეგონებით:

— „მტკიცე ოჯახი — ჩვენი ერის საიმედო მომავალია. პირველ რიგში იგი უნდა იყოს მტკიცე, რათა ერი და სახელმწიფოც მტკიცე იყოს. თავისთავად ჩნდება კითხვა, რა არის სანინდარი იმისა, რომ ოჯახი მტკიცე იყოს? არსებობს შეხედულება, რომ ოჯახი იგივე მცირე სახელმწიფოა...“ (ილია II 1997: 168) და მრავალი სხვა, რის შესახებაც გვსურს გავამახვილოთ ყურადღება.

I. ოჯახის არსი და მნიშვნელობა, ოჯახური თანაცხოვრების მიზანი

„...ეძიებდით პირველად სასუფეველსა ღმრთისასა და სიმართლესა მისსა, და ესე ყოველი შეგეძინოს თქვენ“ (მთ. 6, 33), ბრძანებს მაცხოვარი. ეკლესიის წიაღში ცათა სასუფევლის დამკვიდრების ორი კურთხეული გზა არსებობს — ქალწულებისა და ოჯახური თანაცხოვრების, ანუ ქრისტიანული ქორწინების. ორივე გზა საპატიოა და ზეცად ამყვანებელი, თუმცა პირველს მეორესთან შედარებით გარკვეული უპირატესობა გააჩნია, რაც სულ მცირედიტაც არ აკნინებს ღვთიერ კურთხეულ ცოლ-ქმრულ ურთიერთობებს, რაზეც ასე განვგვსწავლის დედა ეკლესია:

— „საიდუმლოა ესე დიდ არს, ხოლო მე ვიტყვ ქრისტესთვის და ეკლესიისა“ (ეფეს. 5, 32);

— „...დაუტეოს კაცმან მამაჲ თვისი და დედაჲ თვისი და შეეყოს ცოლსა თვისსა, და იყვნენ ორნივე იგი ერთ ჳორც, ვითარმედ არღარა არიან ორ, არამედ ერთ ჳორც“ (მთ. 19, 5-6);

— „ცოლნი დაემორჩილნით თვისთა ქმართა, ვითარცა უფალსა, რამეთუ თავი არს ქმარი ცოლისა“ (ეფეს. 5, 22-23);

— „ქმართა გიყვარდეთ ცოლნი თვისნი, ვითარცა ქრისტემან შეიყვარა ეკლესიაი, და თვისი მისცა მისთვის“ (ეფეს. 5, 25).

— „მოდღერებად დედათა არა უბრძანებ, არცა მთავრობა ქმრისა, არამედ რაითა იყოს იგი მყუდროებით“ (I ტიმ. 2, 12);

უფლისმიერ ამ შეგონებათა ფონზე, გვსურს უწმინდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ილია II ქადაგებებიდან ფრაგმენტები მოვიყვანოთ:

— „...ადამიანის ამქვეყნიური ცხოვრების უმთავრესი მიზანი სასუფევლის მოპოვებაა, დანარჩენი ყველაფერი, — სამშობლო, ოჯახი, შვილები, ახლობლები, მეგობრები და ყოველივე ამქვეყნიური მოღვაწეობა ამ მიზნით უნდა იყოს წარმართული“ (ეპისტოლე 2012: 16);

— „მინიერი ჩვენი ყოფა სინამდვილეში გამოცდაა და ჩვენ ვალდებული ვართ ეს გამოცდა ჩავაბაროთ. ამას კი მხოლოდ იმ შემთხვევაში შევძლებთ, თუ ვიცხოვრებთ რწმენით, სასოებითა და სიყვარულით“ (ილია II 2008: 155);

— „ღვთისმოშიშება, თავმდაბლობა, სიბრძნე, კეთილზნობა... — ის თვისებებია, რომელიც კარგი ოჯახის არსებობისათვის აუცილებელ საფუძველს ქმნის“ (ილია II 2008: 140);

— „...ჩვენი მინიერი ყოფა მგზავრობას ჰგავს; ამიტომაც ვისაც არ ახსოვს, რომ იგი სტუმარია წუთისოფლისა და დღეს თუ ხვალ მარადიულ ცხოვრებას უნდა ეზიაროს, გამოუსწორებელ შეცდომას უშვებს“ (ილია II 2008: 145);

ამგვარად, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, არც ერთი ადამიანური ურთიერთობა იმდენად მნიშვნელოვანი არ არის, როგორც ქორწინება, ცოლ-ქმრული კავშირი. ეს კავშირი უძველესია და ადამიანთა მოდგმის შექმნისთანავე დადგენილი. იგი დაფუძნებულია სჯულზე, რომელიც ღმერთმა დაადგინა და დაუნესა ადამიანურ ბუნებას. ცალ-ცალკე ქალი და კაცი არ არიან ისინი, რაც უნდა იყვნენ თავიანთი არსის თანახმად და მხოლოდ მაშინ იწყებენ სისხლსავსე ცხოვრებას, როდესაც ქორწინებით ერთ-სულ და

(გაგრძელება მე-10 გვ.)

(დასაწყისი მე-9 გვ.)

ერთხორც იქმნებიან.

უაღრესად დიდი მნიშვნელობის გამო, ეკლესია სათუთად უფრთხილდება რა ოჯახის სიმტკიცესა და ერთიანობას, განაჩინებს:

— „ხოლო მე გეტყვი თქვენ, რამეთუ ყოველმან რომელმან განუტვლტვოლი თვისი, თვინიერ სიტყვისა სიძვისა, მან ამრუშა იგი“... (მთ. 5.32);

— „...ან უკუე რომელნი იგი ღმერთმან შეაუღლნა, კაცი ნუ განაშორებს“ (მთ. 19.6).

ყოველივე ზემოთქმულთან დაკავშირებით, კვლავ, მისი უნმიდესობისა და უნეტარესობის ილია II შეგონებას გავიხსენებთ:

— „სახარებიდან ნათლად ჩანს, რომ ადამიანთა შორის არცერთ ურთიერთობას არა აქვს ისეთი მაღალი დანიშნულება, როგორც ცოლ-ქმრის ურთიერთობას, რომელთა წმიდა კავშირიც უფლისგან განუყოფელი თანაცხოვრებისთვისაა დალოცვილი“ (ილია II 2008: 140).

ამდენად, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ცოლქმრული ბედნიერება მხოლოდ მაშინ არის ღვთივსათნო და ქების ღირსი, როცა **მეუღლეები იცავენ უფლის ყველა მცნებას, მისდევენ ქრისტეს ეკლესიის ყველა წესს**, ცდილობენ ღვთივსათნო ცხოვრებას, არიან ერთმანეთის ერთგულნი, პატივს სცემენ ურთიერთს და აქვთ სხვა სათნოებებიც.

II. მეუღლეების

ვალდებულებები ღვთის, ძვეყნისა და პიროვნების წინაშე

უნმიდესი და უნეტარესი ილია II ერთ-ერთ თავის ქადაგებაში ბრძანებდა, რომ თითოეული ადამიანი უნდა ადიდებდეს უფალს, უყვარდეს სამშობლო და უყვარდეს მოყვასი თვისი. სწორედ ეს ტრიადა გახლავთ ის სულიერი ვექტორი, რომელიც სწორ გეზს განუსაზღვრავს თითოეულ ადამიანს სასუფეველისაკენ.

მისივე მითითებით, ქრისტიანული ზნეობისა და აზროვნების მთავარი არსი შემდეგი უფლისმიერი სწავლებითაა გადმოცემული (ილია II 2008: 142): **„შეიყუარო უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა.“**

ესე არს დიდი და პირველი მცნება. და მეორე მსგავსი ამისი: **„შეიყუარო მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი.“** ამათ ორთა მცნებათა ყოველი სჯული და წინააღმდეგობა და მოკიდებულ არიან“ (მთ. 22, 37-40). სწორედ ზემოხსენებული სიტყვები გახლავთ განმსზღვრელი **მეუღლეების ვალდებულებებისა** ღვთის, ქვეყნისა და მოყვასის წინაშე.

იმის გასარკვევად, თუ რას ნიშნავს **უფლის სიყვარული**, წმიდა იოანე მახარებელს მოვუსმინოთ: **„უკუეთუ ვისმე უყუარდე მე, სიტყუანი ჩემნი დაიმარხნეს, ... ხოლო რომელსა არა უყუარდე მე, სიტყუანი ჩემნი არა დაიმარხნეს“** (ინ. 14, 23-24).

ამგვარად, ცხადზე უცხადესია, რომ სრული ოჯახური ბედნიერებისათვის, ცოლ-ქმარს უფლის სიტყვების მთელი გულისყურით მოსმენა ჰმართებთ, რადგან ბრძანებს უფალი: **„...თვინიერ ჩემსა არარაა ძალგიც ყოფად არცა ერთი“** (ინ. 15, 5). უფლისმიერი შეგონებით განისაზღვრება კიდევ თითოეული ადამიანის **ჯვარი**, რომლის შესახებაც ბრძანებს უფალი: **„...რომელსა უნებს შემდგომად ჩემსა მოსლვაჲ, უფარყავნ თავი თვისი, და აღიღენ ჯუარი თვისი და შემომიღევინ მე“** (მკ. 8, 34).

სხვაგვარადაც ვიტყვით. ოჯახში ისეთი სულიერო გარემო უნდა სუფევდეს, რომ მისი თითოეული წევრი **ღვთის ნებას** ეძიებდეს და ძალღონეს არ იშურებდეს მის აღსასრულებლად, რათა მართებული წარმოდგენა ჩამოგვიყალიბდეს **სიცოცხლის საზრისის** მიმართ.

მისი უნმიდესობისა და უნეტაროსობის ილია II 2012 წლის საშობაო ეპისტოლეში ვკითხულობთ:

— „**უღმერთოთა ნაწილი სიცოცხლის აზრს მხოლოდ ამქვეყნიური კეთილდღეობის სხვისთვის შექმნაში ხედავს; სხვანი — შვილების ყოლაში, რადგან მომავალს ანიჭებენ დიდ მნიშვნელობას, მაგრამ მათ არა აქვთ პასუხი თუნდაც ისეთ მარტივ კითხვებზე, როგორიცაა მაგ.: რა აზრი აქვს გამრავლებისათვის ზრუნვას, თუ შთამომავლობა შენთან ერთად არარაობად უნდა იქცეს? მით უმეტეს, რა აზრი აქვს პროგრესს, კაცობრიობისათვის ზრუნვას, თუ ჩვენი მონაპოვარი მოხმარდება მათ, ვინც ხვალ აღარ იარსებებს?**

ეს ადამიანები გარკვეულწილად

სხვისთვის ცხოვრობენ, მაგრამ მათი ყოფის მიზანს ასეთი აზროვნება სრულიად აუფასურებს.

ისინი გაცილებით დასაფასებელნი არიან, ვიდრე „ლოგიკურად“ მოაზროვნენი, რომელნიც მიიჩნევენ, რომ ყველაფერი უნდა გააკეთონ საკუთარი ბედნიერებისათვის და ასევე ბედნიერად დაამთავრონ ცხოვრება აქ, რადგან მათთვის იმქვეყნიური არაფერი არ არსებობს.

ეს არის ყველაზე პრიმიტიული დამოკიდებულება სიცოცხლისადმი და რაოდენ სამწუხაროა, რომ ჩვენს დროში მსოფლიოში სწორედ ამგვარი განწყობისათვის ხდება ხელის შეწყობა“ (ეპისტოლე 2012: 7-8).

მაცხოვარი იოანე მახარებლის პირით გვამცნებს: **„თქუენ მეგობარნი ჩემნი ხართ, უკუეთუ ჰყოთ, რომელსა ესე გამცნებთ თქუენ“** (ინ. 15, 14), რითაც საცნაურდება, რომ ოჯახი ეკლესიის წიაღში აღწევს მთელ სისრულეს, რაც მისი თითოეული წევრის ცხოვრების აუცილებელი პირობაა.

თუ გონიერი მზერით მიმოვიხილავთ ყველა იმ საშუალებას, რასაც დედა ეკლესია ფლობს მორწმუნეთა ნებელობასა, გულსა და გონებაზე ზემოქმედების მოხდენის მიზნით, სავსებით მართებულად, ეკლესია დედის მუცელს შეიძლება შევადავროთ. ჩვილი მუცლადყოფნის პერიოდში ვითარდება და შემდეგ იბადება ამქვეყნიური ცხოვრებისათვის. მსგავსად ამისა, ეკლესიის წიაღში, ადამიანი (ნათლისღებით) სულიერად იშვება, ხოლო საიდუმლოთა მღვდელმოქმედებით, ღვთისმსახურებაში მონაწილეობით, საეკლესიო წესჩვეულებების აღსრულებით, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის, ანგელოზებისა და წმიდანთა მეოხებით, **სულიერად იზრდება**, ძლიერდება და ვითარდება, რითაც მისი სული უნარს იძენს, მუდამ უფლის სახლოვეს მყოფებოდეს, და ამ ქვეყნიდან გასვლის შემდეგ, **იშვება კიდევ მარადიული ნეტარი ცხოვრებისათვის**, რაც ოჯახის უპირველეს მისიას წარმოადგენს.

წმიდა სამების საკათედრო ტაძრის მღვდელმსახური დეკანოზი გიორგი (გუნია)


(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

მოძღვარი
სკოლაში



სუჟიანე მე-2 ასოფლიო ოპის შეხვედრას





შიხის კაძანი (X-XI სს.)

სარედაქციო კოლეგია: სვეტლანა ქეცბა, დეკანოზი ბიძინა (გუნია),
ლია სენიაშვილი, ნოდარ სილაგაძე, ირინა ქეცბა
პასუხისმგებელი რედაქტორი ციცილო ჯულუხიძე

სსიპ „სულიერებისა და კულტურის ცენტრი“

მისამართი: თბილისი, რუსთაველის გამზ. №37, IV სართ. ტელ.: 293-17-20, 599-05-96-11. ტირაჟი: 500 ცალი